# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №60

22 მარტი 2012 წ.

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო – სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის ჩოხატაურში, დუმბაძის ქუჩა №2 – ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული დაბის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა – ნაგებობის მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–$19^5$ მუხლის მე – 6 პუნქტის შესაბამისად, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №2 – ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული დაბის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა – ნაგებობის მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო – სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით

**ვბრძანებ:**

1. გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო – სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალის“, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩა N2 – ში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული 103,4 კვ.მ

არასაცხოვრებელი ფართი სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის, საბალანსო ღირებულებით 10 150,70 ლარი;

2. გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლას, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩა N2 – ში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული 31,9 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის, საბალანსო ღირებულებით 3 131,60 ლარი;

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (ლელა იმედაშვილი) მოამზადოს მხარეებს შორის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მისამართი: ჭავჭავაძის ქ. N4

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*